დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური

ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება – სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2024

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მ. აბდულ რაუფი, ვიტენბორგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ნიდერლანდები.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ნაცვლიშვილი ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა ქელიხაშვილი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი	50 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება N95	ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N24

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

3 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[4]

ამ კლასტერში დაჯგუფებულია ორი საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა. ისინი ფუნქციონირებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია, 5 წლის ვადით, 2015 წლის 22 ივნისს, N71 გადაწყვეტილებით, მიიღო; პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში 2020 წლის 22 ივნისამდე ხორციელდებოდა. მას შემდეგ კი ავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირებს.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2013 წლის 12 თებერვლის N39 გადაწყვეტილებით. 2018 წლის 30 მარტის N44 გადაწყვეტილებით პროგრამას აკრედიტაციაზე უარი ეთქვა. 2019 წლის 22 იანვრის No24 გადაწყვეტილებით კი აკრედიტაცია კვლავ მიენიჭა. 2021 წლის 23 აპრილის No396587 ბრძანების შესაბამისად განხორციელდა „ბიზნეს ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგი; 2022 წლის 22 აგვისტოს N930581 გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერული პროგრამების აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტი გაიმართა 2024 წლის 9-10 სექტემბერს თბილისში, საქართველოში. შეფასება ფოკუსირებული იყო ორ პროგრამაზე: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამები. შეფასება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ ორგანიზებულმა ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა. ექპერტთა ჯგუფი შედგებოდა ხუთი წევრისაგან, მათ შორის იყო საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ჯგუფს თავმჯდომარეობდა, ასევე დარგის სამი სპეციალისტი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და სტუდენტი წარმომადგენელი. NCEQE-ის ორი წარმომადგენელი ასევე შეუერთდა ორდღიან ვიზიტს, მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.
შეფასების პროცესი იყო ყოვლისმომცველი: მოიცავდა დოკუმენტების განხილვას, მოსამზადებელ შეხვედრას და სტრუქტურირებულ ვიზიტს, უნივერსიტეტთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. მათ ასევე დაათვალიერეს დაწესებულების ობიექტები და რესურსები.
ვიზიტის ძირითადი ასპექტები მოიცავდა:

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვა: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც ნაწილდება ოთხ სემესტრზე. იგი მოიცავს სავალდებულო კურსების 110 კრედიტს (მათ შორის 25 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი და 5 კრედიტიანი პროფესიული პრაქტიკა) და 10 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის.
- სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სამ წელს (ექვს სემესტრს), 50 კრედიტიან საგანმანათლებლო კომპონენტს და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. კურსდამთავრებულებს 180 კრედიტის დაგროვებით ენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- პროგრამაში შესული ცვლილებები: ბოლო დროს, ორივე პროგრამამ განიცადა ცვლილებები, რათა შესაბამისობაში მოსულიყო ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წელს შემუშავდა.

ვიზიტი ხასიათდებოდა თანამშრომლობითი ატმოსფეროთი და უსდ-ის მხრიდან ეფექტური მენეჯმენტით. ადგილზე ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტს გაუზიარა წინასწარი მიგნებები შესაფასებელი პროგრამების თაობაზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, რომლებიც, ზოგადად, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, NCEQE-ის მიერ დადგენილ საგანმანათლებლო სტანდარტებს. სამაგისტრო პროგრამა იძლევა განათლებას ბიზნესის მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაში ძირითადი კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით, ხოლო სადოქტორო პროგრამა ფოკუსირებულია კვლევის უნარების განვითარებასა და სამეცნიერო სფეროში წვლილის შეტანაზე. მართალია, ეს პროგრამები მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს, თუმცა არსებობს გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები შემდგომი გაუმჯობესებისთვის; რათა პროგრამების ხარისხი კიდევ უფრო განვითარდეს და შესაბამისობაში მოვიდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია. გვაქვს რამდენიმე რჩევა.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 1 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 1.1 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 1.2 - **შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 1.3 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 1.4 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 1.5 **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 1 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 1.1 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 1.2 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 1.3 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 1.4 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 1.5 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 2 - შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი2.1 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.2 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი2.3 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.4 - შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 2 - შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 2.1 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.2 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 2.3 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი2.4 - შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 3 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 3.1 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი3.2 - შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 3 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 3.1 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 3.2 - შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 4 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 4.1 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 4.2 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 4.3 - შეესაბამება მოთხოვნებს
- კომპონენტი 4.4 - შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 4.5 - **შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 4 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 4.1 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტიკომპონენტი 4.2 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 4.3 - **შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 4.4 - **შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი4.5 - **შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 5 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 5.1 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი5.2 - **შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 5.3 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 5 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

- კომპონენტი 5.1 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 5.2 - **შეესაბამება მოთხოვნებს**
- კომპონენტი 5.3 - **მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს**

- **რეკომენდაციები**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები

სტანდარტი 1.3.1 რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილოთ და უზრუნველყოთ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებზე.

სტანდარტი 1.3.2 რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე, რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე.

სტანდარტი 1.5.1 რეკომენდებულია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოთ მოწვეული საერთაშორისო პროფესორ-მასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალისთვის

საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება.

სტანდარტი 1.5.2 რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან.

სტანდარტი 1.5.3 რეკომენდებულია, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების პრაქტიკის გაძლიერება. აკრედიტაციაზე განსახილველი პროგრამებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დამაჯერებელი პასუხი ბენჩმარქინგის პროცესზე, მის შედეგსა და განხორციელებაზე.

სტანდარტი 3.1 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს წვდომა უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურაზე.

სტანდარტი 4.1 რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

სტანდარტი 4.2. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ტრენინგი ჩაატაროს სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის ხელმძღვანელობის მიმართულებით, რათა დარწმუნდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა.

სტანდარტი 5.1 რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგებიcს შემუშავების პროცესში, რათა უკეთესად მოარგოს პროგრამის შედეგები ინდუსტრიის საჭიროებებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახოს დარგის უახლეს მოვლენები, კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, უზრუნველყოს რა მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან; ასევე სწავლა/სწავლის მეთოდების შერჩევისას, შეფასების მეთოდებსა და შეფასების რუბრიკებში; სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების განვითარების პროცესში.

სტანდარტი 5.3.1 რეკომენდებულია მაგისტრანტმა და დოქტორანტმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

სტანდარტი 5.3.2 რეკომენდებულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.

რეკომენდაციები ინდივიდუალური პროგრამისთვის

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 1.1 სამაგისტრო პროგრამის პირველი და მე-3 მიზნის გათვალისწინებით, პროგრამა ამ მიზნების მიღწევას აპირებს სპეციალური მოდულების გარეშე ისეთ ინოვაციურ თემებზე, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა ან კიბერუსაფრთხოება. ეს სფეროები სულ უფრო გადამწყვეტი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები ნამდვილად მზად არიან სწრაფად განვითარებადი ბიზნეს სამყაროსთვის.

სტანდარტი 1.4 ინტერნაციონალიზაციის მთავარი საკითხები მკაფიოდ არ არის ასახული. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, მომგებიანი იქნება უფრო მეტი საერთაშორისო პერსპექტივისა და შემთხვევათა შესწავლის (case studies) ჩართვა სასწავლო პროგრამაში. პერსონალისა და სტუდენტების მობილობის გაზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

სტანდარტი 1.5 რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 1.1 სადოქტორო პროგრამის მიზნები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ზოგიერთი დასახელებული მიზანი არ არის ფორმულირებული, როგორც პროგრამის მიზნები. ეს მიზნები საჭიროებს ხელახლა ფორმულირებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოწოდებული რჩევების და რეკომენდაციების შესაბამისად.

სტანდარტი 1.4 არ არის კონკრეტულად ნახსენები თუ როგორ ხდება ახალი კვლევის შედეგების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში. კურსის შინაარსის რეგულარულად განახლება დარგის უახლესი მოვლენების ასახვის მიზნით, კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამების შესაბამისობას და ხარისხს.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია, რომ ჩატარდეს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარება/შემუშავდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ბენჩმარქინგის დოკუმენტი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოსაყენებლად.

სტანდარტი 5.3 რეკომენდებულია, რომ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან თანამშრომლობით და არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ანგარიში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კლასტერის საერთო რჩევები

სტანდარტი 1.2 მართალია პროგრამა ზოგადად ძლიერ შესაბამისობას ავლენს მოთხოვნებთან, მაინც არსებობს პოტენციური გასაუმჯობესებელი მხარეები. სასურველია, სწავლის შედეგების თანმიმდევრულობის გაძლიერება კლასტერში შემავალი სხვადასხვა საფეხურის პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს შინაარსის კომპლექსურობისა და სირთულის მკაფიო პროგრესს, ანუ მაგისტრატურიდან დოქტორანტურამდე.

სტანდარტი 3.1 სასურველია, რომ უნივერსიტეტმა ყოველწლიურად გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.

სტანდარტი 4.2 სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების განხილვისას წარმოიშვა გარკვეული პრობლემები აკადემიური წერის სტილთან დაკავშირებით, სასურველია, თუ უნივერსიტეტი შემოიღებს აკადემიური წერის ერთ-ერთ სტილს (APA, Chicago ან სხვა) და უფრო ყურადღებით დაიცავს მას.

სტანდარტი 4.3 სასურველია, თუ ყველა აკადემიურ პერსონალს ექნება პროფილები ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus ან Clarivate. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა ამ სფეროში, რადგან ამ პლატფორმებზე ხილვადობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდისთვის.

სტანდარტი 4.4 სასურველია, ყველა აუდიტორიაში იყოს სტაციონარული კომპიუტერი და პროექტორი, რადგან, ლექციის დროს, პედაგოგს პროფესორის ოფისიდან უწევს ლეპტოპისა და პროექტორის შეტანა საკლასო ოთახში.

სტანდარტი 4.5 სასურველია, ფაკულტეტმა გადახედოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და შემოსავლის გარკვეული ნაწილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებიდან გათვალისწინებული იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ბიუჯეტისთვის, რადგან ეს პროგრამები ასევე ემსახურება საბაკალავრო პროგრამების სამეცნიერო მდგრადობას.

რჩევები ინდივიდუალური პროგრამებისთვის
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 1.2 სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტმა ყურადღება დაუთმოს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან სწავლის შედეგების შესახებ კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებას, კერძოდ, ხაზი გაუსვას, თუ როგორ გარდაიქმნება აღნიშნული შედეგები პრაქტიკულ უნარებად და შრომის ბაზრისთვის ღირებულ კომპეტენციებად.
სტანდარტი 2.2 სასურველია, თუ უნივერსიტეტი ფაკულტეტზე რაიმე ტიპის ინოვაციების ლაბორატორიას შექმნის.
სტანდარტი 4.2 სასურველია, თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის როლი უფრო მკაფიოდ განისაზღვრება რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სტანდარტი 1.1 სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით, სასურველია პირველი პუნქტის ხელახლა ფორმულირება, მეტი სიცხადისთვის, რამეთუ იგი აერთიანებს რამდენიმე იდეას, რაც ცოტა არ იყოს დამაბნეველია. სასურველია, კომუნიკაციის მეოთხე პუნქტი იყოს უფრო კონკრეტული აუდიტორიის ტიპებზე (აკადემიური, პროფესიული და ა.შ.) და კვლევის წარდგენის კონტექსტზე.

სტანდარტი 1.2 სასურველია, რომ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დააკავშიროთ კურსდამთავრებულთა დასაქმების ამჟამინდელ და მომავალ შესაძლებლობებთან, ეს შესაძლოა შრომის ბაზრის ფორმალური ანალიზის ჩატარებით და კურსდამთავრებულების უკუკავშირის მიღებით. ეს ხელს შეუწყობს შედეგების რელევანტურობის შენარჩუნებას და მოამზადებს სტუდენტებს აკადემიური და ინდუსტრიული კარიერისთვის.

სტანდარტი 1.4 არ არის კონკრეტულად ნახსენები თუ როგორ ხდება ახალი კვლევის შედეგების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში. სასურველია კურსის შინაარსის რეგულარულად განახლება დარგის უახლესი მოვლენების ასახვის მიზნით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამების შესაბამისობას და ხარისხს.

სტანდარტი 2.2 სასურველია, თუ სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტის კრედიტები გაიზრდება (მაგალითად, თუ გახდება 46 ან 52), რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემს აირჩიონ კურსები, რომლებიც გააუმჯობესებს მათ ტრანსფერულ უნარებს.

სტანდარტი 4.2 სასურველია, ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სადოქტორო ნაშრომებში კვლევის მეთოდოლოგიის ადეკვატურად ასახვას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

N/A

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავს, რომ ექსპერტთა პანელის დასკვნის პროექტში არ გამოვლენილა უზუსტობები ან ფაქტობრივი შეცდომები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს ექსპერთა მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციასა თუ რჩევას და შესაბამისად საბოლოო დასკვნა ცვლილებებს არ საჭიროებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია, 5 წლის ვადით, 2015 წლის 22 ივნისს, აკრედიტაციის საბჭოს N71 გადაწყვეტილებით, მიიღო; პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში 2020 წლის 22 ივნისამდე ხორციელდებოდა. 22020 წლის 22 ივნისის შემდეგ კი ავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირებს. პროგრამა შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დარგობრივ დოკუმენტთან - ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2023 წ.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2013 წლის 12 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს N39 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 30 მარტის N44 გადაწყვეტილებით, პროგრამას აკრედიტაციაზე უარი ეთქვა. აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის No24 გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია მას კვლავ მიენიჭა. 2021 წლის 23 აპრილის No396587 ბრძანების შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. 2022 წლის 22 აგვისტოს აკრედიტაციის საბჭოს #930581 გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს პროგრამის სასწავლო კომპონენტს 50 კრედიტიის მოცულობით (ECTS) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. საგანმანათლებლო კომპონენტი 50 კრედიტამდე გაიზარდა.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული

[6] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[7] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები 1.1 სტანდარტთან კარგ შესაბამისობას ავლენს. ორივე პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას. პროგრამების მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შრომის ბაზარისთვის საჭირო ღრმა, სისტემური ცოდნითა და კომპეტენციებით, რომლებიც ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების სპეციფიკას და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესაბამის საგანმანათლებლო საფეხურებს.

ზოგადად, მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ისევე როგორც ინდუსტრიის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების აღჭურვას განვითარებადი ბიზნეს სფეროსთვის. ორივე პროგრამა ხელს უწყობს დარგის და საზოგადოების განვითარებას ინოვაციური აზროვნებისა და კვლევის უნარების ხელშეწყობის გზით, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში. სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია პრაქტიკულ გამოყენებასა და ადაპტირებაზე, ხოლო სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს მოწინავე/დამოუკიდებელ კვლევით უნარებსა და ცოდნის შექმნას.

მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომი და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩათვლით. პროგრამების

სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება ამ მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები შეიძენენ; შედეგები გაზომვადი და მიღწევადია. საერთო ჯამში, პროგრამა ავლენს ყოვლისმომცველ მიდგომას სტანდარტის 1.1-ის მოთხოვნებთან და კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კუთხით; იგი ამზადებს კურსდამთავრებულებს პროფესიული წარმატებისა და აკადემიური წინსვლისთვის.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სამაგისტრო პროგრამის მიზნებში ნაკლებად ასახულია ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამის პირველი და მე-3 მიზნის გათვალისწინებით, პროგრამა აპირებს ამ მიზნების მიღწევას ინოვაციურ თემებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე გამოყოფილი ისეთი მოდულების გარეშე, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა ან კიბერუსაფრთხოება. ეს სფეროები სულ უფრო გადამწყვეტი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები ნამდვილად მზად არიან სწრაფად განვითარებადი ბიზნეს სამყაროსთვის; ამის მიღწევა კი რთულია ამ განვითარებადი ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების შესწავლის გარეშე, რამეთუ ესენი გლობალურად ახდენენ გავლენას ინდუსტრიათა ცვლილებებზე.

უსდ-ის სამაგისტრო პროგრამა, სათანადოდ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, დარგობრივი მახასიათებლის თანახმად. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს კურსდამთავრებულების მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირებაში „ღრმა და სისტემატური ცოდნით“, რაც შეესაბამება სამაგისტრო განათლების მოლოდინებს. პროგრამის მიზნები ასახავს პრაქტიკული უნარების განვითარებას და ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტაციის უნარს, რაც ემთხვევა ბიზნესის ადმინისტრირების მრავალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის მიმართულებას. პროგრამა გვპირდება განიხილოს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ტენდენციები, რაც მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა აქტუალობისა და დასაქმებისთვის.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით და ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დისკუსიების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს რომ სადოქტორო პროგრამების მიზნები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ისინი ფორმულირებულია, როგორც სტუდენტების მიზნები და არა როგორც პროგრამის მიზნები, მაგალითად, აღნიშნულია „...სტუდენტს უნდა განუვითარდეს..., უნდა შეეძლოს “- ასეთი ფორმულირება კი სტუდენტთა ამოცანებზე მიანიშნებს. საჭიროა მათი ხელახლა ფორმულირება, როგორც „პროგრამის მიზანი/ამოცანაა მოამზადოს მაღაკვალიფიციური კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ....“.

სადოქტორო პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს სამეცნიერო კვლევას; შეზღუდულადაა ხაზგასმული ცოდნისა და თეორიის განვითარებაში ორიგინალური წვლილის შეტანა. ეს კი საერთაშორისო დონეზე დოქტორანტურის საფეხურის განათლების გადამწყვეტი მნიშვნელობის ასპექტია და ამ პროგრამაში ეფექტიანად უნდა ხორციელდებოდეს. პროგრამა სათანადო აქცენტს აკეთებს თანამედროვე კვლევითი უნარებისა და მეთოდოლოგიების

განვითარებაზე, თუმცა შეზღუდულია პედაგოგიკის სწავლება, რაც ასევე მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამებისთვის. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არ პასუხობს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს; ნახსენებია მხოლოდ საერთაშორისო კვლევით კონფერენციებსა და ღონისძიებებში ჩართულობა. საუკეთესო საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები ხშირად აქცენტს აკეთებს გლობალურ ბიზნეს პერსპექტივებზე, კულტურულ კვლევებსა და საერთაშორისო თანამშრომლობისა თუ გაცვლის შესაძლებლობებზე.

მართალია, ნახსენებია პუბლიკაციები და კონფერენციებში მონაწილეობა, თუმცა პროგრამას შეუძლია უფრო დიდი აქცენტი გააკეთოს სტუდენტების მომზადებაზე, რათა მათ წამყვან საერთაშორისო ჟურნალებში გამოაქვეყნონ მასალები და ნაშრომები წარადგინონ მოწინავე აკადემიურ კონფერენციებზე, რაც მრავალი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის მთავარი მოლოდინია. გარდა ამისა, პროგრამას შეუძლია გააძლიეროს მისი ინტერდისციპლინარული ფოკუსი, გააერთიანოს ინფორმაცია მომიჯნავე სფეროებიდან, როგორიცაა ეკონომიკა, ფსიქოლოგია ან მონაცემთა მეცნიერება, რაც სულ უფრო ხშირად ხდება წამყვანი საერთაშორისო ბიზნესის სადოქტორო პროგრამებში. ეთიკური ლიდერობისა და სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები ნახსენებია, მაგრამ შეიძლება უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი პროგრამის მიზნებში, რითაც იგი შესაბამისობაში მოვა მენეჯმენტის პასუხისმგებლიანი განათლების თაობაზე საერთაშორისო აქცენტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა და სილაბუსი;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის წესდება;
- პროგრამების სილაბუსი;
- კურიკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი sou.edu.ge
- ვიზიტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები:

სამაგისტრო პროგრამის პირველი და მე-3 მიზნის გათვალისწინებით, პროგრამა ამ მიზნების მიღწევას აპირებს სპეციალური მოდულების გარეშე ისეთ ინოვაციურ თემებზე,

როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა ან კიბერუსაფრთხოება. ეს სფეროები სულ უფრო გადამწყვეტი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები ნამდვილად მზად არიან სწრაფად განვითარებადი ბიზნეს სამყაროსთვის.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები:

სადოქტორო პროგრამის მიზნები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ზოგიერთი დასახელებული მიზანი არ არის ფორმულირებული, როგორც პროგრამის მიზნები. ეს მიზნები საჭიროებს ხელახლა ფორმულირებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოწოდებული რჩევების და რეკომენდაციების შესაბამისად.

რჩევები:

სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით, სასურველია პირველი პუნქტის ხელახლა ფორმულირება, მეტი სიცხადისთვის, რამეთუ იგი აერთიანებს რამდენიმე იდეას, რაც ცოტა არ იყოს დამაბნეველია. სასურველია, კომუნიკაციის მეოთხე პუნქტი იყოს უფრო კონკრეტული აუდიტორიის ტიპებზე (აკადემიური, პროფესიული და ა.შ.) და კვლევის წარდგენის კონტექსტზე.

შეფასება[8]

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო	☐	X	☐	☐

[8] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

საგანმანათლებლო პროგრამა)				

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის, დოკუმენტაციისა და უსდ-ში ვიზიტის დროს ჩატარებული დისკუსიების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მათ მიზნებთან და შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკას როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო პროგრამისთვის. შედეგები ეფექტურად აღწერს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები იძენენ პროგრამების დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების ძირითად სფეროებს. ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით.

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის, დოკუმენტაციისა და უსდ-ში ვიზიტის დროს ჩატარებული დისკუსიების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ავლენს მეტწილად შესაბამისობას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის 1.2 სტანდარტის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ორივე პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ სწავლა გააგრძელონ განათლების მომდევნო საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას, მათ შორის აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ეს ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შედეგები დარჩეს აქტუალური როგორც სასწავლო სფეროსთვის, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებისთვის.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ავლენს რამდენიმე ძლიერ მხარეს სწავლის შედეგებში. შედეგები ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს. ისინი მოიცავს ძირითად სფეროებს, როგორიცაა სტრატეგიული

მენეჯმენტი, ლიდერობა, გადაწყვეტილების მიღება და კვლევის უნარები, რაც მოსალოდნელია სამაგისტრო დონეზე. შედეგები აღწერს კონკრეტულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, როგორიცაა ბიზნესის ტენდენციების ანალიზი, სტრატეგიების ჩამოყალიბება და კვლევის ჩატარება. აქცენტი კეთდება უმაღლესი დონის შემეცნებით უნარებზე, როგორიცაა კრიტიკული ანალიზი, სტრატეგიული აზროვნება და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, რაც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამას. შედეგები გაზომვადი და მიღწევადი ჩანს პროგრამის სტრუქტურის მეშვეობით, რომელიც მოიცავს საკურსო ნაშრომების, პრაქტიკისა და სამეცნიერო ნაშრომის კომპონენტებს. ისინი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს და მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის ფარგლებს. შედეგები, საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს განაგრძონ შემდგომი განათლება სადოქტორო დონეზე ან შევიდნენ პროფესიულ კარიერაში. შედეგების შემუშავებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

არის გარკვეული სფეროები, რომელიც საჭიროებს ყურადღებით განხილვას, მაგალითად, შესაძლებელია რომ შედეგები უფრო მკაფიოდ პასუხობდეს ციფრულ ბიზნესში, მდგრადობასა და გლობალურ მენეჯმენტში უნარების განვითარებას, რათა უკეთ შეესაბამებოდეს დღევანდელი ბაზრის მოთხოვნებს. რაოდენობრივი და ანალიტიკური უნარების განვითარების მეტად დაკონკრეტებამ შესაძლოა გააძლიეროს შედეგები. შედეგებმა შეიძლება უფრო ნათლად გამოხატოს, თუ როგორ ემყარება ისინი ბაკალავრიატის დონის კომპეტენციებს. შეზღუდულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიეწოდება შედეგები დაინტერესებულ მხარეებს, გარდა იმ პერიოდისა, როდესაც ისინი ჩართულნი არიან შემუშავების პროცესში.

მთლიანობაში, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც ჩანს, მეტწილად შეესაბამება სტანდარტს 1.2, მაგრამ ზოგიერთი მიმართულების გაუმჯობესებამ შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს მათი შესაბამისობა და გაზომვადომა, რაც ნახსენებია რჩევებსა და რეკომენდაციებში.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და მოიცავს სადოქტორო დონეზე მოსალოდნელ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ზოგადად, შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს, გაზომვადი და მიღწევადია ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მაგალითად, შეზღუდულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეესაბამება შედეგები კონკრეტულად შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომლებიც ლოგიკურია რომ უმეტესად აკადემიურ პოზიციებს მოიცავს. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ შედეგების შემუშავებაში, არ არის მოწოდებული დეტალები თანამშრომლობის პროცესის შესახებ ან სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წვლილის თაობაზე.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას აქვს მკაფიო სწავლის შედეგები. შედეგები სათანადოდ ასახავს დოქტორანტურის მოლოდინებს მოწინავე ცოდნის, დამოუკიდებელი კვლევის უნარებისა და შესაბამის სამეცნიერო სფეროში წვლილის შეტანის შესახებ. აშკარაა აქცენტი კვლევითი შესაძლებლობებისა და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე, უახლესი მეთოდების გამოყენებით. შედეგები ხაზს უსვამს კრიტიკულ აზროვნებას, კომპლექსური პრობლემების გადაჭრას და ახალი იდეების/მიდგომების გენერირებას. აკადემიური კეთილსინდისიერება და კვლევის ეთიკა მკაფიოდ არის განხილული. გათვალისწინებულია სწავლებისა და საგანმანათლებლო უნარები, კურსდამთავრებულების მომზადება ზოგადად აკადემიური კარიერისთვის, მაგრამ შეზღუდული ინფორმაცია იყო მოწოდებული იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ეს რეალურად. შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს აღმწერებს დოქტორანტურის საფეხურზე.

თუმცა, არსებობს გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები; მაგალითად, ზოგიერთი შედეგი საკმაოდ ფართოა და შეიძლება უფრო კონკრეტული იყოს ბიზნესის ადმინისტრირებისა და უნარების განვითარების თვალსაზრისით. მაგალითად, შეზღუდულადაა ნახსენები, თუ როგორ ამზადებს შედეგები კურსდამთავრებულებს ბიზნესში არააკადემიური ლიდერული როლებისთვის. შედეგებში არ არის ნათლად გამოხატული, თუ როგორ ეფუძნება და აღემატება ისინი მაგისტრატურის დონის კომპეტენციებს. არ არის მკაფიოდ ნახსენები ბიზნესის განვითარებადი ტენდენციები ინტერდისციპლინური პერსპექტივებიდან. მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება სტანდარტ 1.2-ს, მეტი კონკრეტიკის უზრუნველყოფა და მათი გაზომვადობის გაუმჯობესება, ასევე მათი მკაფიოდ განსხვავება სამაგისტრო საფეხურის შედეგებისგან, კიდევ უფრო გააძლიერებს სტანდარტთან მათ შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების მომზადებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ოქმები) ;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- -www.sou.edu.ge ; უსდ-ის ვებგვერდი
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

მართალია პროგრამა ზოგადად ძლიერ შესაბამისობას ავლენს მოთხოვნებთან, მაინც არსებობს პოტენციური გასაუმჯობესებელი მხარეები. სასურველია, სწავლის შედეგების თანმიმდევრულობის გაძლიერება კლასტერში შემავალი სხვადასხვა საფეხურის

პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს შინაარსის კომპლექსურობისა და სირთულის მკაფიო პროგრესს, ანუ მაგისტრატურიდან დოქტორანტურამდე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რჩევები: სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტმა ყურადღება დაუთმოს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან სწავლის შედეგების შესახებ კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებას, კერძოდ, ხაზი გაუსვას, თუ როგორ გარდაიქმნება აღნიშნული შედეგები პრაქტიკულ უნარებად და შრომის ბაზრისთვის ღირებულ კომპეტენციებად.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

რჩევები: სასურველია, რომ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დააკავშიროთ კურსდამთავრებულთა დასაქმების ამჟამინდელ და მომავალ შესაძლებლობებთან, ეს შესაძლოა შრომის ბაზრის ფორმალური ანალიზის ჩატარებით და კურსდამთავრებულების უკუკავშირის მიღებით. ეს ხელს შეუწყობს შედეგების რელევანტურობის შენარჩუნებას და მოამზადებს სტუდენტებს აკადემიური და ინდუსტრიული კარიერისთვის.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო	X	☐	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა)				

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირებაში ავლენს კარგ შესაბამისობას 1.3 სტანდარტთან მიმართებით, რომელიც ეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს. ჩამოყალიბებულია ყოვლისმომცველი შეფასების გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე შეფასების ირიბ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე შეფასებას. შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს რეგულარული ინტერვალებით, ბიზნესის განათლების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. პროგრამებმა დაადგინა მკაფიო სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის და შეფასების პროცესში გამოკითხვების მეშვეობით ჩართო გარე დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს შეფასების მეთოდებს; მათ უტარდებათ ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში, მოქმედებს მექანიზმები შინაარსის, სწავლის შედეგების, შეფასების სისტემებისა და სწავლების რესურსების მოდიფიცირებისთვის.

საჭიროა კოლეგიალური შეფასების სისტემის გადახედვა, უსდ-მ უნდა განახორციელოს უფრო სტრუქტურირებული შეფასების სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილონ და უზრუნველყონ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებზე. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის კონკრეტული და მცირე წვლილის შესახებ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფისთვის არ აღმოჩნდა დამაჯერებელი;

რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე,

რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები,
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კლასტერული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი სწავლის შედეგების შეფასების გეგმები;
- კურიკულუმის რუკა;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისთვის შეიძლება გაიცეს ორი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილოთ და უზრუნველყოთ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებზე.
- რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე, რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სრულ შესაბამისობაშია 1.4 სტანდარტში მოცემულ მოთხოვნებთან. ორივე პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაციები პროგრამების შინაარსისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულია და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებულ მხარეთა გამოხმაურებას, რაც მიუთითებს თანამშრომლობითი განვითარების პროცესზე. ორივე პროგრამაში კრედიტების განაწილება შეესაბამება კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS), სადაც სტუდენტთა დატვირთვა და საათები თანმიმდევრულადაა გადანაწილებული სემესტრების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე, უფრო კონკრეტული მტკიცებულება იმისა, თუ როგორ მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (განსაკუთრებით დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები) პროგრამის გაუმჯობესების პროცესში, უფრო მეტად გააძლიერებდა პროგრამის შესაბამისობისა და ხარისხის მაჩვენებელს ორივე პროგრამაში.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სამაგისტრო პროგრამაში განსაკუთრებულადაა ხაზგასმული ღრმა თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა ბიზნესის ადმინისტრირებაში. თუმცა, პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, ამ კუთხით გაცემულია ერთი კონკრეტული რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები სრულყოფილად გამოიყურება, არ შეინიშნება მკაფიო მითითება პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხების გამოყენებაზე. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, უპრიანი იქნება სასწავლო პროგრამაში უფრო მეტი საერთაშორისო პერსპექტივისა და შემთხვევის ანალიზის ჩართვა. პერსონალის და სტუდენტების მობილობის გაზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს, თუ მოხდება მისი ეფექტურად წარმართვა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა წარმოაჩენს რამდენიმე ძლიერ მხარეს მის სტრუქტურასა და შინაარსში. იგი ინარჩუნებს უნივერსიტეტის დამტკიცებულ მეთოდოლოგიას პროგრამის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. 120 კრედიტიანი, 4 სემესტრზე გაწერილი სტრუქტურა შეესაბამება მაგისტრატურის სტანდარტის მოთხოვნებს. ძირითად კურსებზე გათვლილი 110 კრედიტი და არჩევით კურსებზე 10 კრედიტი ლოგიკურად პროგრესირდება. პროგრამაში პროფესიული პრაქტიკის 5 კრედიტიანი კომპონენტისა და 25 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის ჩართვა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას და კვლევის შესაძლებლობებს.

თუმცა, არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებიც მოითხოვს გაუმჯობესებას, მაგალითად, არჩევითი კურსების შეზღუდული რაოდენობა: არჩევით საგნებს მხოლოს 10 კრედიტი (პროგრამის 8.3%) ეთმობა, რითაც სტუდენტებს შეზღუდული შესაძლებლობები ეძლევათ, რომ დახელოვნდნენ თავიანთ სპეციალობაში ან განახორციელონ ინდივიდუალური ინტერესები ბიზნესის ადმინისტრირებაში. გაურკვეველია თანხვედრა დარგობრივ კრიტერიუმებთან, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა იმაში, თუ როგორ შეესაბამება პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებს ან NCEQE-ის მიერ ბიზნესის ადმინისტრაციისთვის დადგენილ დარგობრივ მახასიათებლებს. მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებულია გარკვეული ინფორმაცია ინტერნაციონალიზაციის შესახებ, არ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს პროგრამა საერთაშორისო ბიზნეს პერსპექტივებს ან როგორ ამზადებს სტუდენტებს გლობალური კარიერისთვის. პროგრამის გასაძლიერებლად, სასურველია სსუ–მ იფიქროს არჩევითი საგნების გაფართოებაზე, რათა უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცეთ სტუდენტებს სპეციალობაში დასახელოვნებლად და უახლეს ბიზნეს ტენდენციებთან ფეხდაფეხ მისაყოლად.

აღწერა და ანალიზი – ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს ღრმა თეორიულ ცოდნას, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო კვლევით კომპონენტებს. თუმცა, პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, ამ კუთხით გაცემულია ერთი კონკრეტული რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამებს ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, არ არის კონკრეტულად ნახსენები, თუ როგორ არის ჩართული ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები სასწავლო გეგმაში. კურსის შინაარსის რეგულარული განახლება დარგის სფეროში არსებული უახლესი

მიმდინარეობებით უფრო მეტად გააძლიერებდა პროგრამების შესაბამისობას და ხარისხს. ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი სტიპენდიის ეფექტურად გამოყენებაში, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის კვლევის ფარგლებში.

გარდა ამისა, დარგობრივი მახასიათებლის ახალი დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები/პროფესორები. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მათ უნდა შეიტანონ მოწინავე სწავლების მეთოდოლოგია დოქტორანტურის სავალდებულო კურსებში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში გამოიკვეთება რამდენიმე ძირითადი ასპექტი. მაგალითად, ის მიჰყვება უნივერსიტეტში დამტკიცებულ ინტრუქციებს სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის. 180 კრედიტიანი, 6 სემესტრიანი სტრუქტურა შესაბამისია სადოქტორო დონის პროგრამისთვის. საკურსო სამუშაო (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი დაბალანსებულია. ბუნებრივია, კვლევის კომპონენტებს მეტი აქცენტი ეთმობა ძირითადი შემეცნებითი და სამეცნიერო აკადემიური უნარების დასაფარად, მათ შორის ზოგიერთი დიდაქტიკური/პედაგოგიური უნარების განსავითარებლად, რაც საჭიროა სამომავლო აკადემიური კარიერისთვის. პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებულო (32 კრედიტი), ასევე არჩევით (18 კრედიტი) საგნებს, რაც გარკვეული არჩევანის საშუალებას იძლევა.

სადოქტორო პროგრამის კონკრეტული კომპონენტების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, სამეცნიერო კვლევის კომპონენტს აკლია კონკრეტული დეტალები სტრუქტურის, ძირითადი პუნქტების ან კრედიტების განაწილების შესახებ. დაწესებულებაში ვიზიტის დროს მიღებული და თვითშეფასებაში მოწოდებული ინფორმაცია არაა საკმარისი, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას დისერტაციის მომზადების, ხელმძღვანელობის და დაცვის პროცედურების შესახებ. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას წერილობითი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავს კონკრეტულ დეტალებს ძირითადი პროცესების შესახებ. თვითშეფასება არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას სწავლის კონკრეტულ შედეგებზე, რომლებიც მოსალოდნელია დოქტორანტურის დონეზე ან როგორ შეესაბამება ისინი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით NCEQE-ს სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია -
- დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება No05/01-362, 12.10.2017წ.);
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sou.edu.ge
- გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცია(ები):

- ინტერნაციონალიზაციის მთავარი საკითხები მკაფიოდ არ არის ასახული. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, მომგებიანი იქნება უფრო მეტი საერთაშორისო პერსპექტივისა და შემთხვევათა შესწავლის (case studies) ჩართვა სასწავლო პროგრამაში. პერსონალისა და სტუდენტების მობილობის გაზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრაგა)

რეკომენდაცია(ები):

- სადოქტორო პროგრამებმა ასევე უნდა მოამზადონ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლები/პროფესორები, რაც ნიშნავს, რომ მათ უნდა შეიტანონ სწავლების თანამედროვე მეთოდები დოქტორანტურის სავალდებულო კურსებში.

რჩევები:

- არ არის კონკრეტულად ნახსენები თუ როგორ ხდება ახალი კვლევის შედეგების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში. სასურველია კურსის შინაარსის რეგულარულად განახლება დარგის უახლესი მოვლენების ასახვის მიზნით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამების შესაბამისობას და ხარისხს.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო	☐	X	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა)				

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები აჩვენებს 1.5 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ზოგადად, კურსების შინაარსი და კრედიტების განაწილება უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაშიც ხელს უწყობს კარგად სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა, რომელიც პროგრესირებს საბაზისო თემებიდან მოწინავე თემებამდე. პროგრამები გვთავაზობს საგნების ფართო სპექტრს, როგორიცაა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ასახავს მიმდინარე ტენდენციებს ინდუსტრიაში. თუმცა შეზღუდული რაოდენობითაა ისეთი ინოვაციური კურსები, როგორიცაა მოწინავე ციფრული ტექნოლოგიები, ანუ ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა. კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მასალები განახლებულია კურსების უმეტეს ნაწილში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მნიშვნელოვანია შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სისტემატურად განაახლებს სასწავლო მასალას პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები, მათ შორის ელექტრონული მონაცემთა ბაზები და სახელმძღვანელოები, უზრუნველყოფს სტუდენტებს ხელმისაწვდომობას ძირითად ლიტერატურაზე როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

გლობალური კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, სწავლის შედეგების დადარება საერთაშორისო სტანდარტებთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი სასწავლო პროგრამისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა რაიმე დამაჯერებელი პასუხი აკრედიტაციისთვის გამოტანილი პროგრამების ბენჩმარკინგის პროცესზე, შედეგსა და განხორციელებაზე.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აჩვენებს ნაწილობრივ შესაბამისობას 1.5 სტანდარტთან, მაგრამ რამდენიმე სფერო საჭიროებს გაუმჯობესებას. პროგრამის სტრუქტურა, როგორც ჩანს, შეესაბამება სწავლის შედეგებს და კურსების შინაარსი ზოგადად

შესაბამისობაშია მათ მიზნებთან. თუმცა, კრედიტების განაწილება და ბალანსი საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის არ არის სათანადოდ გაწონასწორებული, რაც იწვევს შეშფოთებას სტუდენტების მიერ თითოეულ საგანზე/კურსზე დახარჯული დროის ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

პროგრამაში კარგად არის დაბალანსებული ძირითადი ბიზნეს კურსები, რომლებიც მოიცავს ისეთ საკვანძო სფეროებს, როგორიცაა ფინანსები, ბუღალტერია, მარკეტინგი, ოპერაციები, სტრატეგია და ა.შ. თუმცა კურსები თანამედროვე თემებზე, როგორიცაა ციფრული ტექნოლოგიები, ინოვაციები და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა შეზღუდულადაა ინტეგრირებული. თითოეული კურსისთვის 5 ECTS კრედიტის გამოყოფა შესატყვისი და სტანდარტიზებულია, რაც აშკარად გამართლებულია თითო კრედიტზე საკონტაქტო და სასწავლო საათისთვის. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს საკურსო სამუშაოს, პროფესიული პრაქტიკისა და დისერტაციის სახით. ეს აჩვენებს კარგ ბალანსს პროგრამაში. კრიტიკული ანალიზის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში აღნიშნულია ბიბლიოთეკის რესურსები, მასში არ არის დაკონკრეტებული თუ როგორ შეესაბამება კურსის მასალები და ლიტერატურა სწავლის შედეგებს.

გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში ნაკლებადაა დეტალური ინფორმაცია თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისა და გამოცდის მეთოდების შესახებ, რაც პოტენციურად ამცირებს პროგრამის უნარს უზრუნველყოს ყველა მიზნის ეფექტურად შესრულება. პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, უსდ–მ სიღრმისეულად გადახედოს კრედიტებისა და საკონტაქტო საათების განაწილებას, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და კომპლექსურობასთან.

სასარგებლო იქნებოდა უფრო კონკრეტული მაგალითების მოყვანა, თუ როგორ უზრუნველყოფს კურსის შინაარსი, მასალები და შეფასებები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს კვლევებსა და განვითარების ტენდენციებს, უნდა გაფართოვდეს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეულწილად შეზღუდული ინფორმაცია მიიღო ამასთან დაკავშირებით.

აღწერა და ანალიზი – ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში გარკვეულ ხარვეზები შეინიშნება 1.5 სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ხშირად გაურკვეველია და საჭიროებს გადახედვას. კურსის შინაარსსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირი არ არის კარგად ჩამოყალიბებული, რაც იწვევს გარკვეულ ეჭვებს პროგრამის მიერ დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. გარდა ამისა, კურიკულუმს აკლია უახლესი ლიტერატურა და რესურსები, რაც პოტენციურად აფერხებს მკვლევარებს, რომ გაეცნონ უახლეს კვლევებს ამ სფეროში.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით, სსუ–ს სადოქტორო პროგრამის ძირითადი უპირატესობების გათვალისწინებით, პროგრამა

მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ მნიშვნელოვან კურსებს, როგორიცაა სტატისტიკური ანალიზი, კვლევის მეთოდები და ემპირიულ მონაცემთა ანალიზი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტების მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის თვალსაზრისით. დოქტორანტებისთვის გამოსადეგი იქნება კურსების ჩართვა, რომლებიც ეხება სწავლების მეთოდებს და დისერტაციის წერას. პროფესორობის ასისტენტობის კომპონენტი დოქტორანტურის სტუდენტებს აძლევს მასწავლებლობის პრაქტიკულ გამოცდილებას.

ჯგუფმა ვერ იპოვა მკაფიო დასაბუთება იმისა, თუ როგორ არის განაწილებული კრედიტები კურსებზე, რომლებიც მკვეთრად მერყეობს 4 –8 კრედიტის მოცულობით, მკაფიო დასაბუთების გარეშე. იდეალური იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო უფრო კონკრეტული დეტალები და დასაბუთება იმის შესახებ, თუ როგორ შეესაბამება კურსის შინაარსი და მასალები დოქტორანტურის დონის სწავლის შედეგებს. სსუ–მ შეიძლება იმსჯელოს ძირითადი სასწავლო გეგმის გაფართოებაზე, რათა მოიცავდეს უფრო მოწინავე კურსებს ბიზნესის საკითხებზე, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის დონეს. უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეულ სილაბუსში კურსის მასალებს, სწავლების მეთოდებსა და დოქტორანტურის სწავლის შედეგებს შორის უფრო მკაფიო კავშირების დამყარება.

გაუმჯობესებისათვის კრიტიკული რეკომენდაციაა სასწავლო გეგმის ყოვლისმომცველი გადახედვა, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და პროგრამის საერთო მიზნებს შორის მკაფიო თანხვედრის უზრუნველყოფა, ასევე საკითხავი მასალების განახლება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მასთან დაკავშირებულ დარგებში მიმდინარე მიღწევების ასასახავად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სილაბუსები;
- პროგრამის სტრუქტურები;
- კურიკულუმის რუკები;
- თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო ოქმები;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- https://elibrary.sou.edu.ge/ge/e-library/scientific-bases;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sou.edu.ge
- გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოთ მოწვეული საერთაშორისო პროფესორ-მასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება.
- რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა,

განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან.

- რეკომენდებულია, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების პრაქტიკის გაძლიერება. აკრედიტაციაზე განსახილველი პროგრამებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დამაჯერებელი პასუხი ბენჩმარქინგის პროცესზე, მის შედეგსა და განხორციელებაზე.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია აღწერს, თუ როგორ განისაზღვრება კონკრეტულ პროგრამაზე დაშვებული სტუდენტების საერთო რაოდენობა. სტუდენტთა რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა განათლების დონე, სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა, აქტიური, შეჩერებული,

შეწყვეტილი და აღდგენილი სტატუსის მქონე სტუდენტები, დამამთავრებელი სტუდენტები, ასევე შიდა/გარე მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კლასტერის ორივე სასწავლო პროგრამაში ჩარიცხვის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებს. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების წინაპირობები შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – https://www.sou.edu.ge/ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

კლასტერულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები შემდეგია:

აღწერა და ანალიზი – ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირების 40 (ECTS) კრედიტიან სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შეჯამება:

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე განაცხადის გასაკეთებლად კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, მაგისტრატურის დიპლომი, CV, ფოტოსურათი, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთი, სადოქტორო კვლევის წინასწარი განაცხადი და მიიღონ თანხმობა სავარაუდო ხელმძღვანელისგან. გარდა ამისა, საჭიროა გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან. დოკუმენტების წარდგენიდან ორი დღის განმავლობაში, სავარაუდო ხელმძღვანელის შეფასების საფუძველზე, კანდიდატები მიიღებენ შეტყობინებას მათი მიღების ან უარყოფის შესახებ. კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ თანხმობას ხელმძღვანელისგან, გადადიან შემდეგ ეტაპზე და აბარებენ ინგლისური ენის გამოცდას (გამონაკლისი დაიშვება მათთვის, ვისაც აქვთ სათანადო სერთიფიკატები ან ინგლისურენოვანი პროგრამის ხარისხი). შერჩევა ხდება დარგობრივი კომისიის მიერ სადისერტაციო კვლევითი განაცხადის წერილობითი და ზეპირი შეფასებების კომბინირებული ქულის საფუძველზე. შეფასების კრიტერიუმებში შედის:

- აქტუალურობა, მიზანი, საკვლევი საკითხები/ჰიპოთეზები და კვლევის მოსალოდნელი შედეგები.
- გასაუბრების დროს ასევე ფასდება საკომუნიკაციო უნარები.

კვლევის წინასწარი განაცხადი უნდა იყოს 1000-დან 1500 სიტყვამდე. დოქტორანტის მიღების საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კონკურსისა და დაგროვილი ქულების საფუძველზე.

ბიზნესის ადმინისტრირების 120 (ECTS) კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შეჯამება:

პროგრამაში მისაღებად კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ:

- ბაკალავრის ხარისხი.
- საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები.
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რომელიც დამოწმებულია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით (გამონაკლისი ვრცელდება მათთვის, ვისაც აქვთ ენის ცოდნის

დამადასტურებელი სერტიფიკატი, ბაკალავრის ხარისხი უცხო ენაში ან ინგლისური ფილოლოგის კვალიფიკაცია).

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა კონკრეტულ სასწავლო სფეროში.
- მობილობის უფლებამოსილება, რაც საშუალებას აძლევს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან სხვა ავტორიზებული დაწესებულებების მაგისტრატურის სტუდენტებს გადავიდნენ სხვა სასწავლებლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში, განაცხადის გაკეთება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოაღნიშნული მიღების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს და მინიჭებულ კვალიფიკაციას, ასევე ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების ჩართვას პროგრამაში.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სასწავლო პროგრამების შესახებ შეიტყვეს ახლობლებისგან ან მათ სკოლებში ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრების დროს. ასევე ფაკულტეტის წევრებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sou.edu.ge
- გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო დონის შესაბამისად. ამისათვის უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა რესურსი. პროგრამების ფარგლებში შემოთავაზებული შესაბამისი კომპონენტები მიზნად ისახავს იმ უნარების გამომუშავებას/განვითარებას, რასაც ხელს უწყობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ცენტრები და კვლევითი ინსტიტუტები, ასევე პარტნიორი ორგანიზაციები.

პროგრამების ფარგლებში სტუდენტებს უვითარდებათ სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო და საგანმანათლებლო დონის შესაბამისი კომპეტენციები. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შედგენილია სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გასაუმჯობესებლად, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას კვლევით პროექტებში, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი ელემენტები მოიცავს:

1. **პრაქტიკულ სწავლებას:** პროგრამებში შედის კურსები, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ ლექციებს, ასევე პრაქტიკული საკონტაქტო საათებს. მაგისტრატურის სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას და მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე, ხოლო დოქტორანტები ჩართულნი არიან სამეცნიერო კვლევით კომპონენტებში. ეს ელემენტები საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ აკადემიური ცოდნა რეალურ სამყაროში,

განავითარონ პროფესიული უნარები და გაიუმჯობესონ დასაქმებისა და სტაჟირების პერსპექტივები.

2. **კარიერული სერვისები:** უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ეხმარება დოკუმენტების მომზადებაში და ხელს უწყობს კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის კავშირების დამყარებას. უნივერსიტეტმა ასევე გააფორმა ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან სტაჟირების, პროფესიული სემინარების და კარიერასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების მხარდასაჭერად.
3. **კვლევის განვითარება:** სამაგისტრო ნაშრომი და სადოქტორო დისერტაცია მათი შესაბამისი პროგრამების კრიტიკული კომპონენტებია, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს განიხილონ კომპლექსურ საკითხები და განივითარონ მოწინავე უნარები თავიანთ სფეროებში. ფაკულტეტის საბჭო და სადისერტაციო საბჭო მეთვალყურეობას უწევს თემის დამტკიცებას და უზრუნველყოფს მათ აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობას.
4. **დამატებითი აკადემიური სამუშაო:** შუალედური შეფასებები ხშირად მოიცავს აკადემიურ დავალებებს, როგორიცაა რეფერატების მომზადება და პროექტის პრეზენტაციები, რომლებიც მხარს უჭერს კვლევის უნარების განვითარებას.
5. **სტუდენტური კონფერენციები:** ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები. სტუდენტური მმართველობა ასევე ხელს უწყობს კულტურულ, რეკრეაციულ და სპორტულ აქტივობებს, რითაც ამდიდრებს სტუდენტურ ცხოვრებას.
6. **საერთაშორისო შესაძლებლობები:** უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციების სამსახური აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ.

კარგი იქნება, თუ უმაღლესი სასწავლებელი დაარსებს რაიმე ლაბორატორიულ ან ინოვაციურ ჰაბებს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ განავითარონ ტრანსფერული უნარები.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, პრაქტიკული გაკვეთილები დატვირთულია გამოყენებითი ამოცანებით, რაც სტუდენტებს ეხმარება სიღრმისეულად გაიაზრონ საკითხები. კურსები მოიცავს ემპირიულ კვლევით კომპონენტებს, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტში და პარტნიორ ორგანიზაციებში. პროგრამის სასწავლო გეგმა შეესაბამება ინდუსტრიის სტანდარტებს, იყენებს უახლეს ლიტერატურას და კვლევის ინსტრუმენტებს. სტუდენტები ასევე სარგებლობენ საერთაშორისო აკადემიურ რესურსებზე ხელმისაწვდომობით.

აღწერა და ანალიზი – ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას სტატისტიკური ანალიზის, კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა ემპირიული ანალიზის კურსების მეშვეობით. მაგრამ პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამებში არ არის საკმარისი ტრანსფერული უნარები, რადგან პროგრამა გვთავაზობს რამდენიმე 6 ECTS კრედიტიან კურსს, როგორიცაა სწავლების თანამედროვე მეთოდები, თვისებრივი კვლევის მეთოდი, დისერტაციის წერა, სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება, მაგრამ ამ 24–დან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი კურსი.

სადისერტაციო პროცესი ხელს უწყობს სტუდენტებს ინოვაციური კვლევების წარმოებაში, კომპლექსური იდეების შეფასებასა და დასკვნების ეფექტურად კომუნიკაციაში. ხაზგასმულია ეთიკური კვლევის პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა დაიცვან კონფიდენციალურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები. საუნივერსიტეტო სერვისები მხარს უჭერს დოქტორანტებს აკადემიური რჩევებით, დროული შეფასებების მიწოდებით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არჩევით.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
- ადგილზე არსებული რესურსების შესწავლა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sou.edu.ge
- გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევები:

- სასურველია, თუ უნივერსიტეტი ფაკულტეტზე რაიმე ტიპის ინოვაციების ლაბორატორიას შექმნის.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევები:

- სასურველია, თუ სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტის კრედიტები გაიზრდება (მაგალითად, თუ გახდება 46 ან 52), რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემს აირჩიონ კურსები, რომლებიც გააუმჯობესებს მათ ტრანსფერულ უნარებს.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთ ან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება განათლების დონეს, კურსის შინაარსს და სწავლის სასურველ შედეგებს. ეს მეთოდები შექმნილია სტუდენტების ჩართულობის მხარდასაჭერად, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ურთიერთობის გასაადვილებლად და ავტონომიურობის, პასუხისმგებლობისა და უნარების განსავითარებლად, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ხელშესაწყობად.

თითოეულ აკადემიურ კურსზე სწავლების მეთოდები მორგებულია საგანმანათლებლო დონეს, კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას დარგობრივ კრიტერიუმებთან, სადაც შესაძლებელია. მოქნილი მეთოდები აკმაყოფილებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სტუდენტთა ინტერესებისა და აკადემიური მზაობის გათვალისწინებით შექმნილია ინდივიდუალური პროგრამები. საერთაშორისო

სტუდენტების შემთხვევაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ითვალისწინებს კულტურულ ან სხვა სპეციფიკურ საჭიროებებს სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადაპტირებისას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ელექტრონულ ან დისტანციურ სწავლებას, იყენებს სასწავლო სფეროს შესაფერის მეთოდებს პროგრამის მიზნების ან სწავლის შედეგების შეცვლის გარეშე.

კლასტერული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები მიიღწევა ლექციების, ჯგუფური მუშაობის, პრაქტიკული სესიების, კონსულტაციების, დამოუკიდებლად მუშაობის ერთობლიობით და სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების მომზადებით. სწავლების მეთოდები არჩეულია კურსის შინაარსისა და პროგრამის მიზნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო აქტივობების მორგებას კონკრეტული შედეგების მისაღწევად. ყველა მეთოდი სტუდენტზეა ორიენტირებული და ადაპტირებულია პროგრამის დონის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამა იყენებს თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს ურთიერთქმედების ხელშესაწყობად და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კონკრეტული მეთოდები მოიცავს ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, დამოუკიდებლად სწავლას, პრაქტიკულ ტრენინგებს, კონსულტაციას, თანამშრომლობით სწავლას, გონებრივი იერიშის მეთოდს, შემთხვევის ანალიზს და პროექტის შემუშავებას. სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, დებატებში, ინფორმაციის შეგროვებასა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლაში. ეს მეთოდები დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში შინაარსისა და მოთხოვნების საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი – ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო პროგრამაში გამოყენებულია სწავლების მეთოდებს, რომლებიც სპეციფიკურია კურსის თითოეული კომპონენტისთვის და შერჩეულია საგანმანათლებლო მიზნებიდან და კურსის შინაარსიდან გამომდინარე. პროფესორებს შეუძლიათ გამოიყენონ კურსზე მორგებული სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ლექციები, სემინარები, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული სესიები, დისკუსიები, შემთხვევის ანალიზი, ელექტრონული სწავლება, ლაბორატორიული მუშაობა, ესეები და სხვა. ეს მეთოდები შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს აკადემიური პერსონალის ზოგიერთმა წამომადგენელმა ვერ ახსნა სწავლებისა და სწავლის პროცესში კონკრეტული სწავლების მეთოდის დანიშნულება. პროგრამების შედეგების მისაღწევად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მასწავლებლებმა ეფექტურად გამოიყენონ სწავლებისა და სწავლის მეთოდები; ამ მიზნით, უსდ –მ უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში;
- დოქტორანტების პუბლიკაციები;
- ბიბლიოთეკის კატალოგი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ტარდება დამკვირდებული პროცედურების მიხედვით და შეესაბამება მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის დადგენილ როგორც გარე, ასევე შიდა საუნივერსიტეტო კანონმდებლობას. სტუდენტების ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ სასწავლო კურსზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რათა სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაეთვალოს; ყოველივე ზემოთქმული დეტალურად არის გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ შეფასების სქემას და კომპონენტებს, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით, ხოლო მოწვეული და აკადემიური პერსონალი იცნობს შეფასების კრიტერიუმებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტები იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმს, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით.

პროგრამებში შემავალი კურსების ფარგლებში სტუდენტების შეფასება ტარდება მეთოდებითა და კომპონენტებით, რომლებიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას მათში განსაზღვრული გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლის პერიოდში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას და გამოხმაურებას სწავლის შედეგების შესახებ სილაბუსის შესაბამისად, ასევე ინფორმაციას ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი.
- გასაუბრებები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები;
- სილაბუსებში აღწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული მონაცემთა ბაზა– Studlabi /https://students.sou.edu.ge/
- ერთიანი საგამოცდო ცენტრის დებულება (შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა);
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმი;
- აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	**X**	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	**X**	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	**X**	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	**X**	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და კონსულტირების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმი, ასევე აქტიური სტუდენტური ცხოვრების ხელშემწყობი მექანიზმები.

პროგრამის ფარგლებში, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, სტუდენტებისგან შემდგარი კომისია აწესებს ფასდაკლებას სტუდენტების სწავლის საფასურზე, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების სამსახური, რომელიც სისტემატურად ატარებს შეხვედრებს უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამების შესახებ, უწევს კონსულტაციებს და ეხმარება შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში, რაც მიზნად ისახავს აღნიშნულ პროექტებში სტუდენტების შემდგომი აქტიურობის გაზრდას. თუმცა, ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს მეტი ძალისხმევა სჭირდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან საერთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად და ამის საფუძველზე გაცვლით პროგრამებში ყოველწლიურად მონაწილე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, რაც ხარისხიანი განათლების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომლის პირდაპირი ფუნქციაა სტუდენტების მხარდაჭერა და ინფორმირება დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. პარალელურად, სამსახური სისტემატურად ატარებს გამოკითხვებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, შეიქმნა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა. სამსახური ასევე კურირებს სტუდენტების პრაქტიკის პროცესს, უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტებთან კავშირს, მონაწილეობს დასაქმების

ფორუმებში, თემატურ კონფერენციებში, აწვდის ინფორმაციას გამოცხადებული სტაჟირებისა და ვაკანსიების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს როგორც ფიზიკური, ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები, თუმცა სტუდენტს არ აქვს ეფექტური წვდომა ინგლისურენოვან ლიტერატურაზე, როდესაც ის უშუალოდ არ იმყოფება უნივერსიტეტში. ამის მიზეზად უნივერსიტეტმა საავტორო უფლებების საკითხი დაასახელა, თუმცა, უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გასწიოს, რომ ურთიერთობა დაამყაროს გამომცემლობებთან და სტუდენტებს შესთავაზოს ეფექტური წვდომა მათზე შიდა საუნივერსიტეტო გამოყენებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის წესდება;
- წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები;
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა კარიერული პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის დებულება;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- განხორციელებული და მიმდინარე პროექტები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს წვდომა უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურაზე.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა ყოველწლიურად გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსუ–ში მოქმედებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმოწერისა და დასრულების პროცედურა. ნაშრომის დასრულებისას სტუდენტები იყენებენ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს, ხოლო სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები სრულდება მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნაშრომები არ შეიცავს ბევრ წყაროს ინგლისურ ენაზე და სასურველია გაიზარდოს უცხო ენებზე წყაროების რაოდენობა.

სტუდენტს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, რეკრეაციული სერვისები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტი და ღონისძიება და ა.შ.). სტუდენტების ინფორმირება, კომუნიკაცია - სსუ უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას სსუ–ის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის განთავსებით (საჯარო ინფორმაცია), ინფორმაციის ზეპირი მიწოდებით და სსუ-ის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით სტუდენტის კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე პირადი შეტყობინების გაგზავნით (პერსონალური შეტყობინება). ამასთან, სსუ-ის ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი ატვირთულია ვებგვერდზე.

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ირჩევა საკვლევ თემაში სამეცნირო-კვლევითი გამოცდილების შესაბამისად. ნაშრომის თემა და ხელმძღვანელი მტკიცდება ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში.

უნივერსიტეტს ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს დისერტაციის

მომზადების პროცესში. ისინი რეგულარულად უწევენ კონსულტაციას სტუდენტებს და ეხმარებიან თავიანთი კვლევის კომპონენტის განხორციელებაში.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)[9]**	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	20
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	-
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	12
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	-
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	1.7
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	-

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 2 (ბიზნეს ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)[10]**	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	20

[9] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[10] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	9
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	-
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	20
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	-
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	0,45

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- გასაუბრებები;
- სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სადოქტორო სწავლების მინიმალური სტანდარტი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესები და ინდივიდუალური დატვირთვის სქემა;
- სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV–ები და პუბლიკაციები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	**X**	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	**X**	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში არის ორი პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა. კლასტერის ორივე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაღალკვალიფიციურია და ფლობს თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციებს, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამებში მათი ჩართვა შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესებსა და კანონმდებლობას. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამეცნიერო მუშაობაში, მათ შორის პუბლიკაციების გამოქვეყნებით, აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობით და კვლევით პროექტებში ჩართულობით. მათი გამოცდილება და კვალიფიკაცია დასტურდება პირადი დოკუმენტებითა და CV-ებით. პერსონალს გააჩნია აუცილებელი აკადემიური ცოდნა, კომპეტენციები და მრავალწლიანი გამოცდილება პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აკადემიურ პერსონალს გააჩნია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები და სხვადასხვა სახის სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) არის 452 სამაგისტრო პროგრამისთვის და 157 დოქტორანტურის პროგრამაზე.

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, შერჩევის პროცედურა არის სამართლიანი და გამჭვირვალე. კლასტერის პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა შემუშავებულია „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესებისა და ინდივიდუალური დატვირთვის წესის" შესაბამისად. სქემა იძლევა პერსონალის დატვირთვის მონიტორინგის საშუალებას კლასტერულ პროგრამებში როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და სრული დატვირთვის გათვალისწინებით.

სტუდენტების კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები გათვალისწინებულია აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვით. ბალანსი აკადემიურ, მათ შორის აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, ასევე სხვა აქტივობებს მათთვის დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, ამავე დროს აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ისინი ეწევიან დამატებით საქმიანობას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) წერილობით ხელშეკრულებას (აფილირების ხელშეკრულებას), რითაც ადასტურებს მის აფილირებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მონაწილეობს თემის განვითარებაში და ცოდნის გაზიარებაში უნივერსიტეტის სახელით.

პროგრამაში აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობის ადეკვატურია; მაგისტრატურაში სტუდენტთა საერთო რაოდენობა არის 12, ამგვარად, კოეფიციენტები შემდეგია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით არის 1.75.
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0.5.
- ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა/დოქტორანტთა თანაფარდობა არის 2.43.
- სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების საერთო რაოდენობაა 20, ხოლო კოეფიციენტები შემდეგია:
- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით – 0.6.
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით – 0.6.
- ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა/დოქტორანტთა თანაფარდობა არის 0.45.
- მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მაგისტრანტების და დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების დატვირთვას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბრუნვა უმნიშვნელოა, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამაში დასაქმებული იყო 4 მოწვეული, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე 1 აკადემიური პირი; აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ბრუნვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ კარგი პროფილი და ფლობენ ეფექტური ხელმძღვანელობისთვის საჭირო უნარებს. მათი ჩართულობა შეფასების, განხორციელებისა და სტუდენტთა კონსულტირების პროცესებში, ისევე როგორც შესაბამისი აკადემიური აქტივობების ორგანიზება, მკაფიოდ გამოიკვეთა კონკრეტული ღონისძიებების მითითებით. გასაუბრებების დროს, როგორც მმართველმა, ასევე აკადემიურმა პერსონალმა აჩვენა, რომ სრულყოფილად ესმით თავიანთი როლები, აქვთ

მკაფიო შეხედულებები მოცემულ სფეროში და გააზიარეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამეცნიერო მიღწევებთან დაკავშირებით.

პროგრამის სტუდენტებს მხარს უჭერს სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. პროგრამებს ემსახურება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი: დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ხელმძღვანელი, დეკანის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სტუდენტური რეესტრის წარმოების სამსახური, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ფაკულტეტის/პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, კერძოდ:

- ფაკულტეტის დეკანი – 1
- ფაკულტეტის დეკანის მოადგილე – 1
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – 1
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი –1
- ფაკულტეტის სტუდენტური რეესტრის წარმოების მთავარი სპეციალისტი – 1
- ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის მთავარი სპეციალისტი -

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი პირადი მონაცემებით (CV–ებით). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების დროს, ზოგიერთმა მათგანმა მკაფიოდ ვერ ახსნა სწავლის შედეგების მიღწევასა და სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს შორის კავშირი, რაც შესაძლოა გაურკვევლობის მიზეზი ყოფილიყო. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნდეს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო უნარები შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა გადაამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლის შედეგების მისაღწევად სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებაში.

სოხუმის უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესწავლას/ანალიზს, მათ შორის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებლის შესწავლას/ანალიზს და იყენებს შედეგებს პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

პროგრამა 1. ბიზნეს ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 ECTS				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[11]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[11] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[12]	
სულ აკადემიური პერსონალი	24	22	24	24
- პროფესორი	5	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	14	12	14	14
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	1	1	1	1
მოწვეული პერსონალი	3	2	1	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, 50 ECTS				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[13]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[14]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	12	12	12	12
- პროფესორი	4	4	4	4

[12] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

[13] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[14] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	8
- ასისტენტ–პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესები და ინდივიდუალური დატვირთვა;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV–ები) და საკვალიფიკაციო დოკუმენტები (დიპლომები);
- რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამების განხორციელებაში, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემები;
- აფილირების წესი;
- პროგრამაში აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობა;
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები;
- უსდ–ის ვებ–გვერდი: https://www.sou.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

-

  რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხელმძღვანელისთვის / თანახელმძღვანელისთვის შემუშავებული აქვს გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრატურის / დოქტორანტურის საფეხურის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს და პასუხობს პროგრამის სპეციფიკასა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების სამეცნიერო საქმიანობა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ ხელმძღვანელებს აქვთ სამეცნიერო აქტივობები შესაბამის სფეროში. ისინი მონაწილეობდნენ სამეცნიერო კვლევებში

და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრანტისა და დოქტორანტის ნაშრომების ზოგად თემატიკასა და მიმართულებას. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მიმოხილვისას გამოიკვეთა პრობლემები აკადემიური წერის სტილთან დაკავშირებით. სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი დანერგავს აკადემიური წერის რომელიმე სტილს (APA, ჩიკაგოს ან სხვა) და უფრო მკაცრად დაიცავს მას.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
უნივერსიტეტმა სამაგისტრო პროგრამებისთვის შეიმუშავა მარეგულირებელი ნორმები. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში აღწერილია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი. თუმცა, არ არის ნათლად აღწერილი რა უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა და კვალიფიკაცია. მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებების დროს, მათ გამოხატეს კმაყოფილება ხელმძღვანელის მუშაობითა და მხარდაჭერით. კურსდამთავრებულებმა დეტალურად აღწერეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურები. ამიტომ სასურველი იქნება, თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის როლი უფრო მკაფიოდ იქნება გაწერილი რაიმე მარეგულირებელ დოკუმენტში.

აღნიშნულის გათვალისწინებით და ხელმძღვანელების CV-ების საფუძველზე, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კვლევებში და გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი (ხელოვნებაში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის ნაშრომის ზოგად თემასა და მიმართულებას. სადოქტორო ნაშრომების მიმოხილვისას გამოიკვეთა, რომ მაგისტრანტების ნაშრომებში იყო შეცდომები კვლევის მეთოდოლოგიის მიმართულებით, ამიტომ სასურველი იქნება, თუ ხელმძღვანელები მეტ ყურადღებას მიაქცევენ კვლევის მეთოდოლოგიის სათანადოდ ასახვას სამაგისტრო ნაშრომებში. ამის გათვალისწინებით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადაამზადოს ხელმძღვანელები სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის მიმართულებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებს ჰქონდეთ უახლესი ცოდნა.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
უნივერსიტეტმა შეიმუშავა სადოქტორო პროგრამის მარეგულირებელი ნორმები, „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი", რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტს დოქტორანტურის პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დებულების თანახმად:

მუხლი 2. სამეცნიერო ხელმძღვანელი

2.1 სამეცნიერო ხელმძღვნელი უნდა იყოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები. 2.2 სამეცნიერო ხელმძღვანელის სალექციო და კვლევითი დატვირთვიდან გამომდინარეობს, თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს.

2.3 სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას; რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან, რაც გულისხმობს დოქტორანტის სამეცნიერო პროგრესის პერიოდულ შეფასებას; ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას, კვლევის დიზაინსა და მენეჯმენტში დახმარებას სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში; ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას; აგრეთვე, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად/მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას.

2.4 იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს. სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას.

2.5 დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო.

კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი ამ დოკუმენტს შესაბამისობაში მოიყვანს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის №141/N ბრძანებასთან, სადოქტორო საგანმანათლებლო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტთან დაკავშირებით, დოქტორანტების რაოდენობა თითოეულ ხელმძღვანელზე. იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6255717?publication=0

დისერტაციის მომზადების პროცესში ხელმძღვანელი მჭიდრო კავშირშია დოქტორანტთან. მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, ნათელია, რომ დოქტორანტი, დოქტორანტურის პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც დამოკიდებულია დოქტორანტურის პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

გასაუბრებების დროს დოქტორანტებმა და კურსდამთავრებულებმა კმაყოფილება გამოხატეს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით. დოქტორანტურის ნაშრომების მიმოხილვისას გამოიკვეთა, რომ დოქტორანტებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი მასშტაბური კვლევა და ღირებული მიგნებები, თუმცა ეს კარგად არ არის ასახული კვლევის მეთოდოლოგიაში. ამიტომ სასურველი იქნება, თუ ხელმძღვანელები მეტ ყურადღებას მიაქცევენ კვლევის მეთოდოლოგიის სათანადოდ ასახვას სადოქტორო დისერტაციებში. ამის გათვალისწინებით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადაამზადოს ხელმძღვანელები სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის მიმართულებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებს ჰქონდეთ უახლესი ცოდნა.

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული

ხელმძღვანელთა რაოდენობა		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[15]	აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	20	20	20
- პროფესორი	15	15	15
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[16]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	9	9	9
- პროფესორი	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6

[15] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

[16] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები) და საკვალიფიკაციო დოკუმენტები (დიპლომები), მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების;
- პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ნამუშევრები (სტატიები, მონოგრაფია, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგ-სერთიფიკატები და ა.შ.);
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები;
- ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ტრენინგი ჩაატაროს სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის ხელმძღვანელობის მიმართულებით, რათა დარწმუნდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების განხილვისას წარმოიშვა გარკვეული პრობლემები აკადემიური წერის სტილთან დაკავშირებით, სასურველია, თუ უნივერსიტეტი შემოიღებს აკადემიური წერის ერთ-ერთ სტილს (APA, Chicago ან სხვა) და უფრო ყურადღებით დაიცავს მას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევ(ებ)ი: სასურველია, თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის როლი უფრო მკაფიოდ განისაზღვრება რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რჩევ(ებ)ი: სასურველია, ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სადოქტორო ნაშრომებში კვლევის მეთოდოლოგიის ადეკვატურად ასახვას.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს შეფასების მექანიზმი როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს თითოეული ჯგუფისთვის განსხვავებული შეფასების პოლიტიკას. აკადემიური პერსონალი ფასდება მათი სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების წვლილის საფუძველზე, ხოლო მოწვეული პერსონალი ძირითადად ფასდება სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის მიხედვით. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს რეგულარულად აფასებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი. ტარდება გამოკითხვები, პერსონალის კმაყოფილების კვლევები, პერსონალის აკადემიური

საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შეფასებები. აკადემიური პერსონალი ასევე ფასდება სტუდენტების მიერ თითოეული სემესტრის ბოლოს, და შედეგები კონფიდენციალურად მიეწოდება აკადემიურ პერსონალს, ხდება მათზე რეაგირება, შედეგების შეჯამება, სასწავლო პროცესის შეფასება, შედეგების ანალიზი, დამუშავება და გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, თითოეული წლის ბოლოს აკადემიური პერსონალი ავსებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ანგარიშის ფორმას, რომელიც იგზავნება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში, ხოლო დეპარტამენტი დამუშავებულ და შეთანხმებულ ანგარიშებს უგზავნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სადაც აკადემიის შესაბამისი დარგის ექსპერტები სპეციალური კითხვარებით აფასებენ კვლევის შედეგებს, შეფასების შედეგებს უგზავნიან უნივერსიტეტის დეპარტამენტს, აცნობენ აკადემიურ პერსონალს და იმართება შესაბამისი შეხვედრები შედეგების გასაცნობად და პროცესის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას სხვადასხვა ინიციატივის გზით. უნივერსიტეტმა ჩაატარა სხვადასხვა სასწავლო სესია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რაც დასტურდება უნივერსიტეტის დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი, სისტემატურად ზრდის თავის პროფესიულ დონეს - მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, გადის შესაბამის ტრენინგებს. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც დასტურდება პროგრამის/ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსური სახსრებით პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, ღონისძიებები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო კონგრესებსა და ფორუმებში და ა.შ.).

პანდემიის პერიოდში, უნივერსიტეტმა გაუმჯობესა დისტანციური სწავლების ეფექტიანობა ვებინარების ორგანიზებით, სახელმძღვანელოების შემუშავებით და აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სასწავლო სესიების ჩატარებით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს არ გააჩნია პროფილები ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus ან Clarivate. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს ძალისხმევა ამ მიმართულებით, რადგან ამ პლატფორმებზე ხილვადობა მნიშვნელოვანია პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები) და საკვალიფიკაციო დოკუმენტები (დიპლომები), მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების;
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები;
- ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, თუ ყველა აკადემიურ პერსონალს ექნება პროფილები ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus ან Clarivate. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა ამ სფეროში, რადგან ამ პლატფორმებზე ხილვადობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად გააჩნია 2 საგანმანათლებლო შენობა (თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 61, პოლიტკოვსკაიას ქ. 26), საკუთრების სამართლებრივი ფორმით, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამები ხორციელდება თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. 61-ში. ექსპერტებმა დაათვალიერეს აღნიშნული შენობა, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით. პროგრამები უზრუნველყოფილია ნათელი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით და ახალი ავეჯით, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორიებით, პროფესორების კაბინეტებით, სტუდენტური თვითმმართველობის სივრცეებით, აკადემიური პერსონალისთვის ინდივიდუალური ოფისებით, საკონფერენციო დარბაზით, საგამოცდო ცენტრით. აკადემიურ პერსონალს სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩასატარებლად გამოყოფილი აქვს სამუშაო სივრცე.

ექსპერტებმა მოინახულეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ბიბლიოთეკა, რომელიც იმართება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. პერსონალი რეგულარულად ატარებს სასწავლო სესიებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემებისა და რესურსების გამოყენების შესახებ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები, უახლესი სამეცნიერო პერიოდული ჟურნალები, ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული მონაცემთა ბაზები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემთა ბაზებზე წვდომა შესაძლებელია არა მხოლოდ უნივერსიტეტის შიგნით, არამედ დისტანციურადაც. ბიბლიოთეკის თანამშრომლების თქმით, ბიბლიოთეკა სისტემატურად განახლდება. ორივე სასწავლო შენობაში (პოლიტკოვსკაიას ქუჩა 26 და პოლიტკოვსკაიას ქუჩა 61) პირველ სართულზე შექმნილია თანამედროვე სტანდარტების ახალი სამკითხველო დარბაზები და უფასო კომპიუტერული სივრცეები. არსებობს სპეციალური სივრცე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც ინტერნეტთან არის დაკავშირებული. ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს, რომ სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომი იყო.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს ყოვლისმომცველ საშუალებებსა და რესურსებს. ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი, აგრეთვე ბეჭდვის, ფოტოასლის გადაღებისა და სკანირების სერვისები. ბიბლიოთეკა მუშაობს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის კვირაში ექვსი დღე, სულ 60 საათის

განმავლობაში. ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:00-დან 20:00 საათამდე, ხოლო შაბათს 9:00-დან 14:00 საათამდე.

IT დეპარტამენტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სერვისს, მათ შორის ინფორმაციას სასწავლო ცხრილების, გამოცდების განრიგის, სილაბუსებისა და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის შესახებ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს დაახლოებით 50,000 ბეჭდური წიგნის კოლექცია და ელექტრონული ბიბლიოთეკა ონლაინ კატალოგით, რომელიც მოიცავს დაახლოებით 1,200 სახელმძღვანელოს და სხვა მასალებს, როგორიცაა ლექციების კონსპექტები და საკითხავი მასალა. როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული რესურსები შენარჩუნებული და განახლებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებისა და კვლევითი მიზნების მხარდასაჭერად.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს-თან "პლანეტა ფორტე" ჟურნალებისა და გაზეთების მოწოდებაზე, რაც უზრუნველყოფს პერიოდული გამოცემების ხელმისაწვდომობას. დამატებით, ხელშეკრულება შპს-თან "ინოვაციური სისტემების მართვა" საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკას იყოს საქართველოს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკების ეროვნული ქსელის ნაწილი. ბიბლიოთეკის რესურსები შეტანილია კატალოგში სტანდარტული წესების მიხედვით, სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია მკითხველთა ბარათებით და როგორც ანბანური, ისე სისტემატური კატალოგებით.

რესურსებისა და სერვისების უწყვეტი გაუმჯობესება პრიორიტეტია, რაზეც მიუთითებს ბიუჯეტის გამოყოფა და სტრატეგიული გეგმის ფოკუსი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. უნივერსიტეტი ფართოდ იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია დაახლოებით 500 თანამედროვე კომპიუტერი, მათ შორის 7 კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული 84 კომპიუტერი. შენობები აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, პრინტერებით, ასლგადამღებებით და ინტერნეტის წვდომით. პროექტების, Tempus და Erasmus+, მეშვეობით აუდიტორიები აღიჭურვა ვიდეოკონფერენციების მოწყობილობებითა და სმარტ დაფებით.

უნივერსიტეტი იყენებს შიდაუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის მართვის სისტემას "ელგონს", რომელიც ემსახურება სტუდენტებს, ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს. „ელგონი" მოიცავს მოდულებს სასწავლო პროცესის მართვისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის, სტუდენტთა ფინანსებისა და დოკუმენტბრუნვისთვის. „სტუდლაბ" ელექტრონული სისტემა ხელს უწყობს უნივერსიტეტის რესურსების ელექტრონულ მართვას, უზრუნველყოფს სტუდენტების, პედაგოგების, პროგრამების, კურსების, შეფასებების და სხვა ინფორმაციის ერთიან მონაცემთა ბაზას. სისტემას გააჩნია ინტერფეისი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მარტივად ასახონ და მოიძიონ ინფორმაცია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურის მართვასა და ხელმისაწვდომობას, რომელიც ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკით". კიბერუსაფრთხოება პრიორიტეტია, ასევე დანერგილია „ბიზნეს პროცესების უწყვეტობის

გეგმა" რისკების შესამცირებლად. უნივერსიტეტის ვებ-საიტი, www.sou.edu.ge, რომელიც 2018 წელს გაეშვა, რეგულარულად განახლდება და მოიცავს არსებით ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგებს, მიღების კრიტერიუმებს, პედაგოგთა მონაცემებს, კვლევით საქმიანობას, სერვისებს და დასაქმების შესაძლებლობებს.

პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმების შესაბამისად. სართო ჯამში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მისი მტკიცე რესურსები, ტექნოლოგიები და მხარდაჭერის სერვისები ერთობლიობაში ეფექტურად უწყობს ხელს საგანმანათლებლო მიზნებს და აუმჯობესებს სტუდენტთა სწავლის გამოცდილებას.

ექსპერტებზე ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურამ. მათ დაადასტურეს, რომ პროგრამებს გააჩნია საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საინფორმაციო რესურსები სწავლის შედეგების მისაღწევად.

თუმცა, კარგი იქნებოდა, თუ ყოველ აუდიტორიაში ხელმისაწვდომი იქნებოდა უძრავი კომპიუტერი და პროექტორი, რადგან ლექციის დროს პედაგოგს პროფესორის კაბინეტიდან უწევს ლეპტოპისა და პროექტორის გატანა აუდიტორიაში.

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი

გარდა ზემოთ აღწერილი რესურსებისა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის სხვა რაიმე გამორჩეული რესურსი არ არსებობს.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, 50 კრედიტი

გარდა ზემოთ აღწერილი რესურსებისა, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისთვის სხვა რაიმე გამორჩეული რესურსი არ არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (ს/კ 01.14.05.005.003; ს/კ 01.14.05.005.134);
- შენობების აზომვითი ნახაზები;
- ინვენტარიზაციის აქტები;
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები;

- ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ყველა აუდიტორიაში იყოს სტაციონარული კომპიუტერი და პროექტორი, რადგან, ლექციის დროს, პედაგოგს პროფესორის ოფისიდან უწევს ლეპტოპისა და პროექტორის შეტანა საკლასო ოთახში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის კარგად სტრუქტურირებული ფინანსური დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის სხვადასხვა

დეპარტამენტის მონაწილეობით. ბიუჯეტში ასახული ფინანსური რესურსები არის როგორც მიღწევადი, ასევე მდგრადი. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებში შედის სასწავლო პროგრამების საფასური, რომელიც მოიცავს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებს, გაერთიანებულს ერთ კლასტერში. ფინანსური მხარდაჭერა მიიღება უნივერსიტეტის მიერ გამომუშავებული შემოსავლიდან, ინვესტიციებიდან და სხვა საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფულადი სახსრებიდან. ეს სახსრები გამოიყოფა აკადემიური პროგრამების განვითარებისა და მდგრადობისათვის, პედაგოგიური და მოწვეული პერსონალის ხელფასებისა და პროფესიული განვითარებისათვის, სტუდენტების მხარდაჭერისათვის, კვლევითი პროექტებისათვის, ბიბლიოთეკის გაუმჯობესებისათვის და მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის.

დამატებითი დაფინანსება მოდის საგანმანათლებლო და სამეცნიერო გრანტებიდან ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, აგრეთვე სხვა ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან. აღნიშნულმა შემოსავლის წყაროებმა აჩვენა სტაბილური ზრდა, და უნივერსიტეტი კვლავ ფოკუსირებულია დაფინანსების დივერსიფიცირებული შესაძლებლობების ძიებაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ადამიანური და მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თავისი ბიუჯეტის გაფართოებას, რათა მხარი დაუჭიროს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულ მიზნებს.

უნივერსიტეტის ფინანსური პერსპექტივა სტაბილური და მზარდია, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული ინიციატივების წარმატებით განხორციელებას. 2024 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნები ყურადღებით გაანალიზდა, ხოლო ხარჯები კლასიფიცირდა ეკონომიკური და ფუნქციური მოთხოვნების შესაბამისად. 2024 წლის ბიუჯეტი შექმნილია უნივერსიტეტის მისიის ხელშესაწყობად და მოიცავს სწავლების, კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის დაფინანსებას. კვლევის ხელშეწყობისა და განხორციელების ფინანსური რესურსები მუდმივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს კლასტერში შემავალი პროგრამების ბიუჯეტებს, რომლებიც ინტეგრირდება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში.

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი

მაგისტრატურის პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, მაგისტრატურის პროგრამის შემოსავალი შეადგენს 33 000 ლარს, ხარჯი - 33 000-ს, და იგი თვითკმარია.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, 50 კრედიტი

დოქტორანტურის პროგრამის შემოსავალი შეადგენს 18,000 ლარს, ხარჯი - 41,540 ლარს (რაც იწვევს 23,540 ლარის დეფიციტს). დეფიციტი იფარება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომლის შემოსავალი შეადგენს 1,615,500 ლარს, ხარჯი - 1,501,329 ლარს, რაც იძლევა წმინდა მოგებას 114,171 ლარის ოდენობით.

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის დაგეგმვისას ითვალისწინებს მხოლოდ სპეციფიკური წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს - კერძოდ, დოქტორანტურის სწავლის საფასურს სადოქტორო პროგრამისთვის და მაგისტრანტების სწავლის საფასურს სამაგისტრო პროგრამისთვის. ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ, რომ ფაკულტეტმა გადახედოს თავისი ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას. რეკომენდაციაა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (BBA) პროგრამებიდან შემოსავლის გარკვეული წილი გათვალისწინებული იქნეს დოქტორანტურის (PhD) და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის (MBA) პროგრამების მიზნებისთვის, რადგან ეს პროგრამები ემსახურებიან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სამეცნიერო მდგრადობასაც.

საერთო ჯამში, ბიუჯეტი უზრუნველყოფს რესურსების მუდმივ ხელმისაწვდომობას აკადემიური საქმიანობების, კვლევითი ინიციატივების და უნივერსიტეტის სხვადასხვა ფუნქციისათვის. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ამ პროგრამების ბიუჯეტები გაერთიანებულია უნივერსიტეტის ყოვლისმომცველ ბიუჯეტში, რაც ხელს უწყობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგრადი ზრდისა და აკადემიური სრულყოფილების მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტები
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები;
- ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ფაკულტეტმა გადახედოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და შემოსავლის გარკვეული ნაწილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებიდან გათვალისწინებული იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ბიუჯეტისთვის, რადგან ეს პროგრამები ასევე ემსახურება საბაკალავრო პროგრამების სამეცნიერო მდგრადობას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ არის შესაბამისობაში**

პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს შემდეგნაირად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრაცია ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ყველა ეტაპზე, რაც გულისხმობს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმების (მუდმივი შეფასება, შედეგების ანალიზი) და განვითარების პრინციპს. სასწავლო პროცესების შეფასება მიმდინარეობს რეგულარულად და მოიცავს თვითშეფასების პროცესით გამოვლენილი კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მექანიზმების განვითარების პროცესს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები", რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროცესის, სამეცნიერო საქმიანობისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს. ამ მექანიზმებში შედის თვითშეფასების კომპონენტი, ასევე გამოკითხვები, კითხვარები და გარე შეფასებები. ამავდროულად, პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევა. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის დონეზე, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების განხორციელებაში, და იყენებენ ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამების გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და მხედველობაში იღებდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეებიც, როგორიცაა პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების შესამუშავებლად, შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც რეგულარულად მართავდა შეხვედრებს და განიხილავდა პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამები შემუშავდა გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. თვითშეფასების ჯგუფის თითოეული წევრი ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე.

მიუხედავად ამისა, კვლავ არის გასაუმჯობესებელი მხარეები და გარკვეული გამოწვევები (იხილეთ დეტალები სტანდარტების 1-4-ის აღწერით ნაწილებში). რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და თავიდან აიცილოს შემდეგი ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, რათა უკეთ დაუკავშირდეს დარგის მოთხოვნებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახავდეს დარგის უახლეს მიღწევებს; კრედიტებისა და საკონტაქტო საათების გამოყოფაში, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტური შესაბამისობა კურსის შინაარსსა და სირთულესთან; სწავლება/სწავლის მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და შეფასების რუბრიკების შერჩევაში; დოქტორანტური და სამაგისტრო ნაშრომების შემუშავების პროცესში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე" (PDCA) ციკლის პრინციპებზე. ხარისხის უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია და მასში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფექტურად მუშაობს. უნივერსიტეტი მუშაობს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებზე (https://www.sou.edu.ge/content/2/65/0/0/0) და ასევე განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წლიურ ანგარიშებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია საკონსულტაციო საქმიანობაში ფაკულტეტის ყველა სეგმენტისთვის, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

კოვიდ პანდემიის პერიოდში, ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის, უნივერსიტეტმა მიიღო სპეციალური რეგულაციები სასწავლო პროცესისთვის (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24. 03. 2020), რათა უზრუნველეყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების პროცესისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #05/01 - 20, 20.04.2012წ.);
- სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სადოქტორო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის წესდება;
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის დებულება;
- აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფის/სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები;
- უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს ოქმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/home;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- მომიჯნავე პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევის დოკუმენტები;

- შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებთან (სამაგისტრო პროგრამისთვის);
- საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლებისა და მომსახურების ხარისხის შეფასების წლიური ანგარიშები (ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- მომიჯნავე პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმები;
- სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის კოლეგიური შეფასებების ანალიზი 2023;
- ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გარე შეფასების ანგარიშები;
- შიდა შეფასების ანგარიშები;
- დისტანციური/ელექტრონული სწავლის პროცესის დებულება (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24. 03. 2020);
- სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელების გამოკითხვის ფორმები;
- მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელების გამოკითხვის ანალიზი;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებები;
- წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგებიცს შემუშავების პროცესში, რათა უკეთესად მოარგოს პროგრამის შედეგები ინდუსტრიის საჭიროებებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახოს დარგის უახლეს მოვლენები, კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, უზრუნველყოს რა მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან; ასევე სწავლა/სწავლის მეთოდების შერჩევისას, შეფასების მეთოდებსა და შეფასების რუბრიკებში; სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების განვითარების პროცესში.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმები არის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გარე შეფასების მექანიზმები ეფუძნება "საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას" და "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას".

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თვითშეფასების ანგარიშის სახით, დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ექსპერტების მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს და პროგრამაში შესაბამის ცვლილებებს ასახავს. პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.

საუნივერსიტეტო რეგულაციის „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების" შესაბამისად, პროგრამების გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდა ადგილობრივი ექსპერტების მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან. გარე შეფასება ასევე

განხორციელდა უცხოელი ექსპერტების მიერ მიკოლას რომერის უნივერსიტეტიდან (ლიეტუვა) და ჩერნიგოვის პოლიტექნიკური ეროვნული უნივერსიტეტიდან (უკრაინა). დამატებით, მხედველობაში იქნა მიღებული დარგის პროფესიონალების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგებიც იქნა გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გარე შეფასების ანგარიშები;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #05/01 - 20, 20.04.2012წ.);
- სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სადოქტორო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო	X	☐	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განხორციელების ხარისხის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, მზადდება შესაბამისი რეკომენდაციები, რჩევები შესაძლო ცვლილებებზე და დასკვნები საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ამოწმებს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის სახელმძღვანელოებსა და სხვა საგანმანათლებლო მასალებს, მათ ფიზიკურ მდგომარეობას, რაოდენობასა და სილაბუსებთან შესაბამისობას).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რათა მიიღოს უკუკავშირი ყველა დაინტერესებული მხარისგან და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხი. იგი ასევე აანალიზებს კოლეგების საგაკვეთილო დაკვირვებების შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე აანალიზებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და არსებულ პროგრამებს ადარებს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს. ასეთი კომპლექსური ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობას და პროგრამის პერსონალს სთავაზობს რეკომენდაციებსა და რჩევებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის.

მოცემული მასალების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის მიერ, და გასაუბრებების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა სემესტრულ გამოკითხვებს სავალდებული სასწავლო კურსების/სასწავლო კურსების დასრულებისას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვებსა და პერსონალის სწავლების შეფასების გამოკითხვებს, აღნიშნული გამოკითხვები არ შეიცავს კითხვებს რესპოდენტებისგან კვლევითი კომპონენტის განხორციელების შესახებ უკუკავშირის მისაღებად. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელება. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

იხილეთ კლასტერის შეფასება სტანდარტისთვის 5.3.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

იხილეთ კლასტერის შეფასება სტანდარტისთვის 5.3. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ე.წ „ბენჩმარკინგის“ (შედარების) დოკუმენტი არ იქნა შემუშავებული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის მიერ. გარდა ამისა, სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები შემუშავებული უნდა იქნეს არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #05/01 - 20, 20.04.2012წ.);
- სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სადოქტორო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის წესდება;
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის დებულება;
- აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფის/სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ოქმები;
- უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს ოქმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.sou.edu.ge/home;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- მომიჯნავე პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევის დოკუმენტები;

- შედარების/ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებთან (სამაგისტრო პროგრამისთვის);
- საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლებისა და მომსახურების ხარისხის შეფასების წლიური ანგარიშები (ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- მომიჯნავე პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმები;
- სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის კოლეგიური შეფასებების ანალიზი 2023;
- ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გარე შეფასების ანგარიშები;
- შიდა შეფასების ანგარიშები;
- დისტანციური/ელექტრონული სწავლის პროცესის დებულება (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24. 03. 2020);
- სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელების გამოკითხვის ფორმები;
- მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელების გამოკითხვის ანალიზი;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მაგისტრანტმა და დოქტორანტმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.
- რეკომენდებულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, რომ ჩატარდეს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარება/შემუშავდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ბენჩმარქინგის დოკუმენტი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოსაყენებლად.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან თანამშრომლობით და

არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ანგარიში.

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	X	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრიება, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა მუჰამედ აბდულ რაუფი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე ნაცვლიშვილი,
სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკა გეგეშიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ვაჟა ქელიხაშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა ია ნაცვლიშვილი